თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

21.02.2017

N 1044

შპს ,,ზიმო"-ს გენერალურ დირექტორს

ბ-ნ ზ. კიკნაძეს

ბატონო ზურაბ,

საქართველოს რკინიგზა
1872-დან

როგორც მოგეხსენებათ, ბათუმი-სამტრედიის ხაზზე, ჩაქვი-ქობულეთის გადასარბენზე, კმ19 პკ8-ში არსებული, უფუნქციო, რკინა-ბეტონის გზაგამტარის უმძიმესი ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიქმნა დაზიანებული გზაგამტარის დაუყოვნებლივი დემონტაჟის აუცილებლობა.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გამარტივებული შესყიდვის წესით, სს ,,საქართველოს რკინიგზა"-სა და შპს ,,ზიმო"-ს შორის 2016 წლის 21 დეკემბერს გაფორმებული იქნა #მს/16-369 ხელშეკრულება, რომლის თანახმად, თქვენს კომპანიას გზაგამტარის დემონტაჟის სამუშაოები უნდა განეხორციელებინა 2017 წლის 20 იანვრამდე.

მიუხედავათ ჩვენი არაერთგზის შეხსენებისა (წერილები #248; #356), მოცემული გზაგამტარის დემონტაჟი დღემდე არ განხორციელებულა.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ გზაგამტარი მდებარეობს თბილისი-ბათუმის ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალზე, სადაცავტოტრანსპორტის მოძრაობის მაღალი ინტენსივობის გამო, დიდია უბედური შემთხვევის რისკი და უმოკლეს ვადაში, წერილობით შეგვატყობინოთ, სამუშაოების წარმოების ზუსტი თარიღი.

პატივისცემით

ინფრასტრუქტურის დირექტორი

ვ. ხორავა

თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

01.03.2017

N 1252

შპს ,,ზიმო"-ს გენერალურ დირექტორს

ბ-ნ ზ. კიკნაძეს

ქ.თბილისი, ოდესის ქ.N 8

ბატონო ზურაბ,

საქართველოს რკინიგზა
1872-დან

თქვენი 2016 წლის 27 თებერვლის #ზ-060/17 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ წერილში მოყვანილ საკითხებთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ პასუხი გაცემული იქნა 2016 წლის 24 თებერვლის #1127 წერილით.

რაც შეეხება ვადების შეთანხმებას, 2016 წლის 21 დეკემბერს გაფორმებული # შს/16-369 ხელშეკრულება ძალაშია მიმდინარე წლის 30 აპრილამდე, თუმცა ამავე ხელშეკრულების 5.2 პუნქტის თანახმად, სამუშაოების უნდა დასრულებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეში ანუ 2016 წლის 21 იანვრამდე. ვადაგადაცილებისთვის პირგასამტეხლოს დარიცხვა განხორციელდება მოქმედი ხელშეკრულების 14.1-14.4 პუნქტების შესაბამისად.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ გზაგამტარი მდებარეობს თბილისი-ბათუმის ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალზე, სადაც ავტოტრანსპორტის მოძრაობის მაღალი ინტენსივობის გამო, დიდია უბედური შემთხვევის რისკი და უმოკლეს ვადაში მოახდინოთ გზაგამტარის დემონტაჟის სამუშაოების დასრულება.

პატივისცემით

ინფრასტრუქტურის დირექტორი

ვ. ხორავა